

Capalac Dickschichtlack

მყარი ნაწილაკების შემცველი, ანტიკოროზიული, ფოლადის და რკინის დამცავი ემალი - საგრუნტავი, შუალედური და დამასრულებელი ფენების დასატანად. შიდა და გარე სამუშაოებისთვის.



პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

ერთოპოპონენტიანი, სქელფენიანი ემალი, განკუთვნილი შენობების ფოლადის, თუთიის, მოთუთიებული ფოლადის, ალუმინის, სპილენძის, მყარი პოლივინილ ქლორიდის (PVC), ხის შიდა და გარე ელემენტების ზედაპირების დაცვისა და მოპირკეთებისათვის. არ გამოიყენოთ თეთრი ფერის ტონები, გამათბობელი რადიატორების შესაღებად, რათა თავიდან იქნას აცილებული გაყვითლება (ასეთ შემთხვევაში გამოიყენეთ Capalac Heizkorperlack-ი - რადიატორის ემალი).
შეუსაბამო სახურავებზე და ანოდიზირებულ ალუმინზე დასატანად!

თვისებები

- ბრწყინვალე ადჰეზიურობა
- ზედაპირის კარგი დაფარვის უნარი, მათ შორის წიბოებზე
- ხანგრძლივი დაცვა კლიმატური ზემოქმედებისგან
- საგრუნტავი, შუალედური და დამასრულებელი ფენების დასატანად (ერთ ქილიანი სისტემა)
- მაღალი კოროზიისგან დაცვის დონე (DIN EN ISO 12944-6-ის შესაბამისად)
- ფერადდება მრავალი ფერით, ColorExpress-ის აპარატის მეშვეობით
- განსაკუთრებით სქელი მშრალი ფენის მიღების საშუალება დიდი რაოდენობით მყარი ნაწილაკების შემცველობის ხარჯზე

მასალის შემკვრელი

ეპოქსიდური ეთერის ბაზაზე - არომატიზირებული გამსხნელების გარეშე

შეფუთვა

სტანდარტული თეთრი (Weiß), Glimmer:
750 მლ, 2,5 ლ., 10 ლ.

ColorExpress:
750 მლ, 2,5 ლ., 10 ლ.

ფერი

სტანდარტული ემალი: თეთრი
Glimmer-ის ფერები: Glimmer-ი დაახლ. DB 701 / Glimmer დაახლ. RAL 9006

სხვა ფერებში შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-ის სისტემის აპარატით.

თუ Capalac Dickschichtlack შეფერადებულია მექ ტონალობაში, შესაძლებელია ზემოდან დატანილ იქნას გამჭვირვალე Capalac Kunstharz-Klarlack-ი, რათა ემალის მუქი ფერი დაცული იქნას მექანიკური დაზიანებით მიღებული გაფერმკრთალებისაგან.

Capalac Dickschichtlack-ის Glimmer ვარიანტი არის კოროზიისგან განსაკუთრებით დამცავი დანაფარი. RAL-ისა და გერმანული ნაციონალური რკინიგზის სტანდარტების (TL/TP-KOR) თანახმად - შესაბამისი ზედაპირი უნდა იყოს მქრქალი და მცირედ ხაოიანი.

დამატებით დამცავ ფენად შესაძლებელია დატანილ იქნას Capalac Kunstharz-Klarlack, რომელიც უზრუნველყოფს დაცვას მექანიკური დაზიანებისგან და ამარტივებს წმენდას.



Glimmer-ის ფერების შესაძლო აცდენის შემთხვევები:

- ფერების კატალოგებთან შედარებით.
- სხვადასხვა მწარმოებლის Glimmer-საღებავებთან შედარებით.
- სარემონტო სამუშაოების დროს, დატანის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისას (მაგალითად სამღებრო ფუნჯი, გორგოლაჭი ან საჭაერო მიფრქვევა, ფხვნილის მოყრით, ან დასხმითი ღებვა).

ფერის შედგობა თანახმად სტანდარტისა BFS საინფორმაციო ფურცელი N26:
შემკვერელი: კლასი C.

პიგმენტირება: ჯგუფი 1-დან 3-ის ჩათვლით, დამოკიდებულია ფერის ტონალობაზე.

სიპრიალის ხარისხი

ემალი:
ნახევრად მქრქალი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ პირობებში, მჭიდროთ დახუფულ ქილაში.

ტექნიკური პარამეტრები

სიმკვრივე: დაახლ. 1,3 გ/სმ³

გამოყენების
სფეროების განსაზღვრა,
ტექნიკური ინფორმაცია N. 606
- ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	+	+	+
(-) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

სტაბილური ზომის ხის ნაწილები, რკინა, ცინკი, ალუმინი, სპილენძი, მყარი პოლივინილ ქლორიდის (PVC) და მდგრადი ძველი საღებავით დაფარული ზედაპირები. ზედაპირი უნდა იყოს გაწმენდილი, მყარი, მშრალი და ადჰიზიის დამაბრკოლებელი ნივთიერებებისგან თავისუფალი. ხის ელემენტების დასაშვები ტენიანობა - არა უმეტეს 13%.
არ გამოიყენოთ სახურავის, ან ანოდირებული ალუმინის დასაფარად!

ზედაპირის მომზადება

ხის ზედაპირი:
ხის გლუვი ზედაპირები გაიშლიფოს ზემფარის ქაღალდით - ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გასუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი). (იხილეთ BFS საინფორმაციო ფურცელი N.18)

ფოლადი, რკინა:
ზედაპირი გასუფთავდეს ჰაერის მაღალი წნევის შებერვით/ SA 2 1/2/, ან მანქანური მეთოდით /st3/ DIN EN ISO 12944-4-ის შესაბამისად. თუ შესაძლებელია მასალა გამოიყენება ნაკლებად აგრესიულ გარემოში (მაგალითად ინტერიერში სადაც არ ხდება წყლის კონდენსაცია, ან კოროზიის გამომწვევი სხვა პროცესები), ჟანგი შესაძლოა მოშორდეს სისუფთავის ხარისხის ST 3-ის შესაბამისად, მინერალური ან მექანიკური საშუალებებით.

ცინკი, მოთუთიებული ფოლადი:
მოიწმინდოს ნებისმიერი საწმენდი საშუალებით და ზემფარის ქაღალდით, დამუშავდეს ნიშადურის სპირტით, ან საჭაერო მიფრქვევით

ალუმინი:
მოიწმინდოს ნებისმიერი საწმენდი საშუალებით და ზემფარის ქაღალდით, ან ნიტრო - გამხსნელით, ან ფოსფორ მჟავით და ზემფარის ქაღალდის გამოყენებით.

სპილენძი:
მოამზადეთ „Gescha Multi-Star“-ით - შერევის პროპორცია: 1:5 და ზემფარის ქაღალდით.

ძველი დანაფარები:
დამუშავდეს ზემფარის ქაღალდით, რათა ზედაპირი გახდეს უხეში, ან მოირეცხოს ტუტით. აუცილებლად მოშორდეს არამზიდი საღებავი!

დატანის მეთოდები

Capalac Dickschichtlack-ი შესაძლებელია დატანილი იქნას ფუნჯით, სამღებრო გორგოლაჭით ან მიფრქვევით. გამოყენების წინ პროდუქტი კარგად ამოურიეთ. კოროზიისგან უკეთესი დაცვის მისაღწევად - უმჯობესია, პროდუქტის მიფრქვევით დატანა.

მითითებები მიფრქვევით დატანისას:

		Ø ნახვრეტის სისქე	წნევა	რჩევა
უჭაერო მიფრქვევა	ემალი	0,009 – 0,013 inch	180 – 200 bar	მემბრანული (კოლბური) ან დგუშური ტუმბო
	Glimmer	0,015 – 0,019 inch	180 – 200 bar	მხოლოდ დგუშური ტუმბო

ტექნიკური ინფორმაცია N. 091

დაფარვის სტრუქტურა

ზედაპირი	გამოყენების არე	ზედაპირის მომზადება	გაჟღერება	დაგრუნტვა	შუალედური ფენა	დამასრულებელი ფენა
ხე	ინტერიერი	გაიშლიფოს	-	Capalac Dickschichtlack	საჭიროების შემთხვევაში Capalac Dickschichtlack	Capalac Dickschichtlack
თანაბარი ზომის ხის ელემენტები	ექსტერიერი	BFS N. 18	Capalac Holz-Imprägniergrund			
ფოლადი, რკინა	ინტ./ექსტ.	გაიწმინდოს ჟანგისგან	-			
ცინკი, მოთუთიებული ფოლადი	ინტ./ექსტ.	BFS N. 5	-			
ალუმინი	ინტ./ექსტ.	BFS N. 6	-			
სპილენძი	ინტ./ექსტ.	BFS N. 6 "Gescha Multi-Star" 1:5 ზუმფარის ქაღალდით	-			
მყარი PVC	ინტ./ექსტ.	BFS Nr. 22	-			
საღებავის მზიდი დანაფარი(1)	ინტ./ექსტ.	ზედაპირის გაუხეშება / ტუტეთი მოწმენდა	-			

1) ძველი არამზიდი დანაფარი, აუცილებელია სრულფასოვნად მოშორდეს ზედაპირს.
 კრიტიკული ზედაპირების, მაგალითად ქარხნული წესით დაფარული ფხვიერი, ან სპირალისებრად ხვეული დაფარვის შემთხვევაში, სასიჩქო დატანით უნდა შემოწმდეს ადჰეზიურობა.

ფოლადის და რკინის კოროზიისგან დაცვა - Capalac Dickschichtlack-ით:

დაფარვის სისტემები კოროზიისადმი მიდრეკილი კატეგორიებისთვის C2, C3, C4 - DIN EN ISO 12944-5-ის შესაბამისად.
 ზედაპირის მომზადება ხდება ჰაერის მაღალი წნევით მიფრქვევით, ფოლადის სისუფთავე უნდა შეესაბამებოდეს - SA 2½ (DIN EN ISO 12944-4)-ის ხარისხს.

Nr.	დაგრუნტვა	μm)	შუალედური ფენა	μm)	საბოლოო ფენა	μm)	საერთო μm)	კოროზიის კატეგორია												
								C2 ₂)			C3 ₂)			C4 ₂)						
								L	M	H	L	M	H	L	M	H				
1	Capalac-Dickschichtlack მაგ: RAL 7036	60			Capalac-Dickschichtlack მაგ: RAL 7036	60	120													
2	Capalac-Dickschichtlack Glimmer	80			Capalac-Dickschichtlack Glimmer	80	160													
3 ³⁾	Capalac-Dickschichtlack მაგ: RAL 7036	60	Capalac Dickschichtlack მაგ: RAL 7036	60	Capalac-Dickschichtlack მაგ: RAL 7036	60	180													
4 ³⁾	Capalac-Dickschichtlack Glimmer	80	Capalac Dickschichtlack მაგ: RAL 7036	60	Capalac-Dickschichtlack მაგ: RAL 7036	60	200													
5 ³⁾	Capalac-Dickschichtlack Glimmer	80	Capalac Dickschichtlack Glimmer	80	Capalac-Dickschichtlack Glimmer	80	240													

- 1) შესაბამისი ფენის სისქე
 - 2) კოროზიულობის ხარისხის განმარტება იხილეთ ქვევით
 - 3) საერთაშორისო სტანდარტის DIN EN ISO 12944 ნაწილი 6-ის, N.3, N4 და N5 სისტემებისთვის შესაბამისად ჩატარებული გამოცდის საფუძველზე მიღებული შედეგები.
- ლუერჯი = შესაფერისია
 თეთრი = არ არის შესაფერისი

მოთუთიებული ფოლადის კოროზიისგან დაცვა - Capalac Dickschichtlack-ით (დუპლექს მეთოდით): DIN EN ISO 12944-5-ის შესაბამისად C2, C3, C4 კოროზიის მქონე ზედაპირების დასაფარად, ზედაპირი უნდა დამუშავდეს შემდეგნაირად: ზუმფარის ქალაღლით და ჰაერის მაღალი წნევის დაბერვით (DIN EN ISO 12944-4).

Nr.	დაგრუნტვა	µm ¹⁾	შუალედური ფენა	µm	საბოლოო ფენა	µm	საერთო µm	კოროზიის კატეგორიები												
								C2			C3			C4						
								L	M	H	L	M	H	L	M	H				
1*	Capalac-Dickschichtlack მაგ: RAL 5010	60			Capalac-Dickschichtlack მაგ: RAL 5010	60	120													
2*	Capalac-Dickschichtlack Glimmer	80			Capalac-Dickschichtlack Glimmer	80	160													

* ვარგისიანობის დადასტურება DIN EN ISO 12944, ნაწილი 6.-ის შესაბამისად.

განმარტებები:

კოროზიის ხარისხის კატეგორიები (იხილეთ DIN EN ISO 12944, ნაწილი 2)

კატეგორია / დატვირთვა	ტიპური გარემოს, ან ზომიერი ჰავის პირობებში არსებული დატვირთვის მაგალითები	
	ინტერიერი	ექსტერიერი
C2 დაბალი	უმნიშვნელო ატმოსფერული დაბინძურებით. ჩვეულებრივი სოფლის რაიონები.	შენობები გათბობის გარეშე, სადაც შეიძლება წარმოიქმნას კონდენსატი, მაგალითად საწყობები, სპორტული დარბაზები.
C3 საშუალო	ქალაქების და ინდუსტრიული რაიონების ატმოსფერო გოგირდის დიოქსიდით საშუალო დაბინძურებით. სანაპირო რაიონები ჰაერში მარილის უმნიშვნელო შემცველობით.	სამუშაო ოთახები მაღალი სინესტით და ჰაერის უმნიშვნელო დაზიანებით. მაგალითად: ადგილები, სადაც მზადდება საკვები, სამრეცხაოები, ლუდსახარშები, რძის საწარმოები.
C4 მაღალი	ინდუსტრიული და სანაპირო რაიონები ჰაერში მარილის მაღალი შემცველობით.	ქიმიურ დაწესებულებები, საცურაო აუზები, მცურავი საშუალებების წყალზე და ნაწილები.

დამცავი ეფექტის ხანგრძლივობა:

(იხილეთ DIN EN ISO 12944 ნაწილი 1 და ნაწილი 5).

დამცავი ეფექტის ხანგრძლივობა: გულისხმობს დამცავი დანაფარის ვარგისიანობის საკარაოდ ვადას პირველ განახლებამდე. დროის მოცემული ინტერვალები დაფუძნებულია სათანადო გამოცდილებაზე, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს სწორად დაგეგმოს განახლების პროგრამა და ფინანსები. ხანგრძლივობა განსაზღვრულია წლებში დამცავი ეფექტის ხანგრძლივობა არ არის საგარანტიო დრო!

ვადა	დამცავი ეფექტის ხანგრძლივობა (წლები)
დაბალი (L)	2 – 5
საშუალო (M)	5 – 15
მაღალი (H)	15-ზე მეტი

ხარჯი

ხარჯი / ფენის სისქე					
ხელსაწყო	პროდუქტი	ხარჯი / მ2	საშუალო ხარჯი / მ2	სველი დანაფარის საშუალო სისქე	მშრალი დანაფარის საშუალო სისქე
ფუნჯი / გორგოლაჭი	ემალი (უნივერსალური ტონები)	100 – 125 მლ	დაახლ. 115 მლ	დაახლ. 115 µm	დაახლ. 65 µm
	Glimmer და DB-ფერები	125 – 160 მლ	დაახლ. 140 მლ	დაახლ. 140 µm	დაახლ. 80 µm
	RAL 9006 და სპილენძი	100 – 125 მლ	დაახლ. 115 მლ	დაახლ. 115 µm	დაახლ. 60 µm
მიფრქვევა	ემალი (უნივერსალური ტონები)	100 – 125 მლ	დაახლ. 115 მლ	დაახლ. 115 µm	დაახლ. 65 µm
	Glimmer და DB-ფერები	150 – 180 მლ	დაახლ. 160 მლ	დაახლ. 160 µm	დაახლ. 80 µm
	RAL 9006 და სპილენძი	125 – 150 მლ	დაახლ. 135 მლ	დაახლ. 135 µm	დაახლ. 70 µm

ზ.ა. მონაცემები არის საორიენტაციო და დამოკიდებულია ზედაპირისა და გარემო თავისებურებებზე. პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა მხოლოდ სასინჯი დატანით.

ტექნიკური ინფორმაცია N. 091

დატანის პირობები

- გარემოს, მასალის და ზედაპირის ტემპერატურა: მინიმუმ +50 C.
- ჰაერის ტენიანობა: ≤ 80 %

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში	მტვრისადმი მედეგი	შეხებით მშრალი	შემდგომი ფენის დატანა	ბოლომდე მშრალი
დრო (საათი)	4	8	24	დაახლ. 5 დღე

დაბალი ტემპერატურა და მაღალი ტენიანობა ზრდის შრობის დროს. Capalac PUHärter-ის (შემასქელებელი) პროდუქტში 5%-ით გაზავება - დააჩქარებს შრობის პროცესს.

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოების დამთავრებისთანავე გაირეცხოს White-Spirit-ით (გამხსნელის ტიპი).

მითითებები

რისკები / რჩევები უსაფრთხოებისთვის

Capalac Dickschichtlack ბაზა - თეთრი (Weiß) და გამჭვირვალე (Transparent)
მოარიდეთ ბავშვებს!
 მარტივად აალებადი სითხე და ორთქლი (ცეცხლსაშიში). მომწამლაკია წყლის ორგანიზმებისათვის. ხშირი შეხებისას შეიძლება გამოიწვიოს კანის სიმშრალე და დახეთქვა. აორთქლილმა აირმა შეიძლება გამოიწვიოს სიფხიზლის დაქვეითება და გონების დაბინდვა. მოარიდეთ ცეცხლს, ცხელ ზედაპირებს და აალების წყაროებს. არ მოწიოთ პროდუქტთან მუშაობისას. არ შეისუნთქოთ მუშაობისას წარმოქმნილი ორთქლი/აირები. გამოიყენეთ მხოლოდ გარე სივრცეებში ან კარგად ვენტილირებად შენობებში. შეინახეთ მჭიდროდ თავდახურულ მდგომარეობაში. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი „ღრუბელი“. გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2.
 შეიცავს: ნაფტა (ნავთობი), ჰიდრო დამუშავებული მძიმე ნაფტა, ჰიდრო დამუშავებული მსუბუქი, n-ბუტილის აცეტატი.

Capalac Dickschichtlack Glimmer დაახლ. RAL 9006, Glimmer დაახლ. DB 701 და რკინის glimmer
მოარიდეთ ბავშვებს!
 მარტივად აალებადი სითხე და ორთქლი (ცეცხლსაშიში). მომწამლაკია წყლის ორგანიზმებისათვის. მოარიდეთ ცეცხლს, ცხელ ზედაპირებს და აალების წყაროებს. არ მოწიოთ პროდუქტთან მუშაობისას. არ შეისუნთქოთ მუშაობისას წარმოქმნილი ორთქლი/აირები. გამოიყენეთ მხოლოდ გარე სივრცეებში ან კარგად ვენტილირებად შენობებში. შეინახეთ მჭიდროდ თავდახურულ მდგომარეობაში. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი „ღრუბელი“. გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2.
 შეიცავს: ნაფტა (ნავთობი), ჰიდრო დამუშავებული მძიმე; დაბალი დუღილის ჰიდრო დამუშავებული ნაფტა, გამხსნელი ნაფტა (ნავთობი) მსუბუქი არომატი; დაბალი დუღილის ნაფტა, დაუზუსტებელი, n-ბუტილის აცეტატი.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

VOC
 (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/i): 500 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 500 გ/ლ აქროლადი ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

Giscode

BSL40

პროდუქტის კოდი საღებავები და ლაქები

ძველი: M-LL01

შემადგენლობა

ეპოქსიდური ფისის ეთერი, ტიტანის დიოქსიდი, ფერადი პიგმენტები, პიგმენტები მეტალის ეფექტით, მინერალური შემავსებელი, ალიფატი, გლიკოლის ეთერი, დანამატები.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს. კაპაროლ ჯორჯია
 ალ.ქართველიშვილის ქ. N°8
 0198 თბილისი, საქართველო
 ელ.ფოსტა: office@caparol.ge
 www.caparol.ge